



სამი ფაქტი, რომლითაც „მანსტროს“ ექსპირატორი ხელისუფლების ბელაჰიზიის საქმეებში ჩარევას ამტკიცებს



N25/33411

9-10 მარტი 2016 წ



ფასი 1 ლარი



„ძალადუღება რეცნის, აბსოლუტური ძალადუღება რეცნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოცემის 1993 წლიდან

რა პროცესები დაიწყო კოალიციაში 7 მარტის პოლიტსაბჭოს შემდეგ?



7

რატომ გაემიჯნენ „რესპუბლიკელები“ ქორწინების თემას? რატომ არ საუბრობენ პეტრიაშვილის დაჭრის მიზეზებზე? რატომ არ სრულდება „მანსტროს“ სკანდალი?



3

რატომ ატყდა აწიოტაში და მართლა იხარებს თუ არა ვინმე ქველ 50-თეთრიანებს 50 ლარად?



4

„ყანაბა ყაურმოვნა“ სანდრა რულოვსკი სააკაშვილის გუნდის სახე ხდება

რას წერენ უკრაინელები სანდრაზე



2

რა პრეტენზიები აქვთ უკრაინელებს მომხმარებლებს „ჯიბიაი პოლდინგთან“?



12

დაგვიბლოკავს თუ არა ევროკავშირი უვიზო მიმოსვლას ქორწინების კონსტიტუციაში ჩანერის გამო?

რა გზა რჩება, თუკი პარლამენტში 133 მხარდამჭერი ვერ მოგროვდება?




5

რა ნერია უს მინისტრ მღებრიშვილის ბრძანება №75-ში და ვის ელის დაპატიმრების საფრთხე?



9

რა არის ასახული ჩანაწერში, რომელმაც გიორგი პაპუაშვილი ააფორიაქა და დააფრთხო?





13

სადური, სუბარი და „რესპუბლიკელი“ მინისტრები მიდიან?


ვინ იცის, ჩემი შვილის კუბო მკვლელობა მიიტანა საფლავამდე – მაგდა პაპაიას კომენტარი ცინიდან

სარიშვილი: თქვენ რა გინარიათ, „ნაცების“ სიძულელით დაბრმავებულ პატარა ცახესის მონებო?


„არ გამომართმევს და საფლავზე დაგულაგებს, ბიჭო!“ – 8 მარტის მილოცვა „ნახალთაგურად“




8



6



8



10

სარიშვილი: თქვენ რა გისარიათ, „ნაცების“ სიძულვილით დაბრმავებულ პატარა ცახესის მონებო?



აქციის ორგანიზატორები არ მოგწონთ? ჩაატარეთ თქვენ თვითონ, დაგიშალათ ვინმემ???

პარტია „იმედის“ ლიდერი ირინა სარიშვილი სოციალურ ქსელში იმ ადამიანებს მიმართავს, რომლებმაც „გაზარდის“ საინაოლმდეგო აქციაზე შეკრებილების რაოდენობაზე კომენტარები გააკეთეს.

რა უფრო მეტა თქვენში: ამ ქვეყნის სიყვარული თუ ნაცების ან ვისიც არ უნდა იყოს, სიძულვილი???

„რაოდენობასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთს ვიტყვი: იმ ქაობის გათვალისწინებით, რაშიც ვცხოვრობთ, მოსალოდნელზე მეტი ხალხი გამოდის ქუჩაში უკვე მერამდენედ ოკუპაციის თემზე?!

არ გინდათ გამარჯვებულ, ნელში გამართულ საქართველოში ცხოვრება? ეს ცხოვრება მონათა აჯანყებით ვერ მოვა!

ხადური, სუბარი და „რესპუბლიკელი“ მინისტრები მიდიან?



საპარლამენტო უმრავლესობის წევრები არაოფიციალურ პირად საუბრებში აცხადებენ, რომ წინასაარჩევნოდ ქვეყანას ახალი მთავრობა ყოფილება, რომელი მთავრობაც ერთგვარი საარჩევნო რეჟიმი იმუშავებს.

სადურთან და „რესპუბლიკელბთან“ ერთად შესაძლოა, თანამდებობა დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარამაც დატოვოს.

ზურაბ ტყემალაძე: საინტერესოა, ვინ აზროვნებს ქართულად და ვინ – არა... ენახოთ...



საქართველოს პარლამენტის წევრი ზურაბ ტყემალაძე დარწმუნებულია, რომ კონსტიტუციაში ქორწინების შესახებ ჩანაწერის გაკეთებისთვის დეპუტატების ნმათა საჭირო რაოდენობა მოგროვდება.

„პროცესების რეჟისორი“ – არაფორმალური მმართველობა და პოზი – რა ჰგონია ივანიშვილს კარგი ხილი?



„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის, კახა კუკავას განცხადებით, იმ პროცესების უკან, რომელიც კოალიციაში მიმდინარეობს, ბიძინა ივანიშვილი დგას და მოვლენების ამ სცენარით განვითარება მისი არაფორმალური მმართველობის სტილი და პოზია.

ის, რომ ივანიშვილი არის ამ პროცესების რეჟისორი, ამაში ეჭვი არავის ეპარება, იმიტომ, რომ კოალიციაში დამოუკიდებლობის ისეთი ხარისხი არავის არ აქვს, რომ მისი ნებართვის გარეშე მიიღონ გადაწყვეტილებები.

გიორგი ვაშაძე: ხელისუფლებაში რომ დაებრუნდებით, სასამართლომ უნდა გაგაკონტროლოს



– მე პირდაპირ გეუბნებით, ვთქვათ, ჩვენი გუნდი ხელისუფლებაში რომ დაბრუნდება, სასამართლომ უნდა გაგაკონტროლოს იმაში, რომ ჩვენ არ გავიდეთ უფლებამოსილების გარეთ, – ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, გიორგი ვაშაძემ ტელეკომპანია „პირველი“ განაცხადა.

საკითხსაც ეხება და აცხადებს, რომ ქვეყანაში ყველა ტელეფონი ისინიანება.

ბურჯანაძე-ინაშვილი-გალათურია: „ჩვენ ბევრ საკითხში თანამოაზრეები ვართ“ – ახალი კოალიცია?



შეიქმნება თუ არა ახალი პოლიტიკური ალიანსი წინასაარჩევნოდ, რომელშიც „პატრიოტთა ალიანსი“, „ქართული დანი“ და ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ შევლენ? ჯონდი ბალათურია განცხადებით, ეს სამი პარტია ბევრ საკითხში თანამოაზრეა და დიალოგს წინ არაფერი უდგას, თუმცა, მისივე თქმით, ჯერჯერობით სამ-მხრივი დიალოგი არ დაწყებულა.

დიალოგი არ გვინარმოვბია, გარდა ნინო ბურჯანაძისა. ნინო ბურჯანაძის დემოკრატიულ მოძრაობასთან ჩვენ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის შევქმენით კოალიცია ერთიანი ოპოზიცია, ეს კოალიცია ჩვენ არ დაგვიშლია და არც გვეგმავეთ მის დამლას.

პეტრიაშვილის საქმეზე დაკავებული იუნა შაფათაყას ყოფილი ქმარია

ალექსი პეტრიაშვილის საქმეზე დაკავებული ლევან მექვაბიშვილი იუნა შაფათაყას ყოფილი ქმარია.



(პირველი რადიო)

გია ვოლსკი კახა კალაძემ ერთხელ და სამუდამოდ უნდა განმარტოს, რას წარმოადგენს ქვეყნის ენერჯეტიკული უსაფრთხოება



კახა კალაძემ ერთხელ და სამუდამოდ უნდა განმარტოს, რას წარმოადგენს ქვეყნის ენერჯეტიკული უსაფრთხოება...



ერთი სურვილი მაქვს, კახა კალაძემ ამ შეხვედრით ისარგებლოს და საზოგადოებას მიანოდოს ინფორმაცია...

რუსულ გაზს, როგორც სატრანზიტო გზას ჩვენ ყოველთვის მივიღებთ, რადგან ჩვენ ის, როგორც სატრანზიტო ქვეყანას გვეკუთვნის...

ენერჯეტიკული უსაფრთხოება

ენერჯეტიკული უსაფრთხოება

დავ იმაში, რომ „მაესტროს“ აქციებისთვის ფულის სესხებაში, რისიც არ მჯერა, მაგრამ მინც - ჩართულია „იმედის“ დამფინანსებელი...

სამი ფაქტი, რომლითაც „მაესტროს“ აქსიონების ხელისუფლების ტალღიდან სპექტრში ჩაჩვენს ავტომატურად

განაცხადით, „იმედის“ გენერალური დირექტორი გიორგი ბახტაძე „მაესტროს“ თანამშრომლებს პირადად ურევავს და ახალ მენეჯმენტთან შეხვედრას სთავაზობს...

სახგასამ მინდოდა. — მაკა ასათიანი და მისმა მეუღლემ განაცხადეს, ხელისუფლება „მაესტროს“ საქმეებში ერევავს, ხელისუფლება კი ამბობს — ეს არის დავა ორ სუბიექტს შორის...

სასამართლომ და იუსტიციის სამინისტრომ ერთად მიიხრეს, სანამ ლევან გიორგიანი არ გახდებოდა დირექტორი, მანამდე არ განიხილავდნენ გაკორტრების საქმეს...

რაზე ესაუბრა გოგი თოფაძე კვირიკაშვილს დახურულ შეხვედრაზე?



შე ვერ წავალ. პრემიერთან შეხვედრა შედგა გუშინაც. თუმა იყო ერთსექსიანი ქორწინების წინააღმდეგ, ანუ ოჯახი არის მამაკაცის და ქალის ერთობა...

პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე დეტალური საუბრისგან თავს იკავებს „პრეზენტო“ ლიდერი გოგი თოფაძე. „პირველი რადიო“ კითხვაზე, რაზე ისაუბრეს და რა პოზიცია ჰქონდა პრემიერს...

მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია 2017 წლის იანვრიდან აიკრძალება



საქართველოში მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია 2017 წლის იანვრიდან აიკრძალება. როგორც შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი ამბობს...



კანონპროექტების განხილვა გრძელდება. ჩვენ სპეციალურად არ ვაჩქარებთ, ფორსირებულ რეჟიმში არ ვახდენთ ამას. პირიქით, ვაძლევთ დროს...

პირველი და ყველაზე მთავარი - ის, რომ კანონპროექტის დამტკიცება 2017 წლამდე გადაიდოს, არის „ალისა“ დამსახურება, რომელიც თამამად შეიძლება ითქვას...

მესამე და ესეც ძალიან მნიშვნელოვანი - როცა „ალისა“ შალვა ხუციშვილთან ვრცელი ინტერვიუ გამოქვეყნდა, ინტერნეტგამოცემებმა ტრადიციისამებრ ყველაფერი „გადააკაბავეს“...

ნატო თურქეთის მხარდასაჭერად ავიაციასა და ფლოტს აგზავნის



ალმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში რუსეთის სამხედრო გააქტიურებით ნატოს გენერალური მდივანი შეშფოთებულა. განცხადება ამის შესახებ სტოლტენბერგმა თურქეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

სტოლტენბერგი პასუხისმგებლობას სირიიდან ევროპაში დევნილების გაზრდაზე რუსეთს აკისრებს.

სტოლტენბერგის თქმით, ნატო სირიის საზღვართან და ალმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში თურქეთის მხარდასაჭერად და სადაზვერუო ღონისძიებების განსახორციელებლად ავიაციასა და ფლოტს აგზავნის.

- ჩვენ ვდგავართ სამხრეთში, უსაფრთხოების ახალ გამოწვევებთან და ამ გამოწვევებში თურქეთი წინა ხაზზეა. ნატო მისი ერთ-ერთი წევრის, თურქეთის მხარდამხარ არის, - აცხადებს სტოლტენბერგი. (პრეზენტი რადიო)

„ნაცმოძრაობის“ ლიდერები, თჯახური ჯაჭვი და „შპარგალკა“ ბუშტების აქციაზე



„ნაცმოძრაობის“ ლიდერები „გაზარდობის“ საინიანილდემო აქციაზე შეილუბთან ერთად იმყოფებოდნენ. მათ შორის ყველაზე უმცროსი პარლამენტარ თინა ბოკუჩავას შვილი გახლდა.

აქციის მთავარი ატრიბუტი ცისფერი ბუშტი იყო, რომელსაც აქციის ორგანიზატორებმა სიმბოლური დატვირთვა მისცეს და „ოცნების“ დაპირებები პერს გაატანეს.

საინტერესო დეტალი კი ის „შპარგალკა“ გახლდათ, რომელზე ჩამოწერილი მესიჯებიც, სავარაუდოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. „აიპრისი“ დაფიქსირებულ ფოტოკამერაში ამ „შპარგალკის“ გვერდით ია ფარულავა აღმოჩნდა.


ფოტო სოციალურ ქსელში ვირუსოვით გავრცელდა და დიდი მიზეზი-მოთქვა გამოიწვია. რაც შეეხება ის რეაქციას, მან მარტივად უპასუხა ყველა იმ ადამიანს, ვისაც ჰგონია, რომ ის სხვისი დაწერილი ტექსტით ხელმძღვანელობდა.

- მე ყოველთვის შპარგალკებით ვარ, როცა რაიმე მნიშვნელოვანს ვამბობ ნებისმიერი ეთერის საშუალებით. არ მინდოდა, რაიმე გამომჩინოდა. დილით დაწვენი და წამოვიღე, თან ყველა თურნალისტი გაგაფრთხილებ უნდა დამიჭიროთ-მეთქი. მე ყოველთვის ველავ ჩანერისას და არ მინდოდა რამე გამომჩინოდა. რაც უნდათ, ის თქვან, მე ხომ ვიცი სიმართლე... სადაც მივდივარ, ყველგან მწერენ. ვიცი, რომ ჩამწერდნენ, რა არის აქ გასაკვირი, აბა, მითხარი? - წერს ია ფარულავა სოციალურ ქსელში. (აპრელი, ნოვაპოსტი)

მაკა დეკანოზიძე 551 99-18-19

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ თავმჯდომარე არჩილ კვიციანი სკოლისტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის ქმედებას, ფარული ჩანაწერის შესაძლო გამოქვეყნებაზე, პროვოკაცია და ყურადღების სხვა თემაზე გადატანის მცდელობად აფასებს.

რას ეხება ფარული ჩანაწერი, რომელზეც პაპუაშვილი საუბრობს? „ალის“ არჩილ კვიციანი-ვილი ესაუბრა: - არჩილ, რაზე დაყრდნობით, აზრობთ, რომ პაპუაშვილის ქმედება პროვოკაციაა, რა კადრებზეა საუბარი, იცით?



რა არის ასახული ჩანაწერში, რომელმაც გიორგი პაპუაშვილი ააფორიაქა და დააფრთხო?

- გიორგი პაპუაშვილმა განაცხადა, რომ შესაძლო ვიდეო და აუდიოფირი არ ეხება მის ინტიმურ ცხოვრებას და საუბარია მთავრად მდგომარეობაში ყოფნის პერიოდზე, როდესაც მოსამართლის სტატუსით, საზოგადოებრივ სივრცეში შეუფერებელ გამოხატვებებს ხმარობს და არაეტიკურ საქციელს სჩადის.

შესაბამისად, გიორგი პაპუაშვილისთვის თავიდანვე ცნობილი გახლდათ ის შესაძლო მასალა, რომლის თაობაზეც მან ისაუბრა, თუმცა მან არ უზრუნველყო საჯარო ინტერესის დაკმაყოფილება და არ დააკონკრეტა, რა მასალასთან გეჟონდა საქმე. აქედან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმობთ, რომ გიორგი პაპუაშვილმა ძალიან კარგად იცის, რა მასალის გავრცელებაზეა საუბარი და უტიფრობა იქნება, ეს დაბარლო ოუსტიციის მინისტრს, ხელისუფლებას, როდესაც ამ საქმესთან დაკავშირებით, სრულიად სხვა ფაქტობრივი გარემოებაა.

გავრცელებული ცნობებით, ეს პოლიციის შეურაცხყოფას ეხება. 2012 წლის სექტემბერში, წინასწარჩვენო პერიოდში გიორგი პაპუაშვილმა მთავრად მდგომარეობაში, თბილისში, შეურაცხყოფა მიაცენა პოლიციის 10-ზე მეტ თანამშრომელს და ისინი „ქართული ოცნების“ მი-

მართ სიმპათიაში დადასაშულა. საპატრულოს თანამშრომლებმა იცნეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, მასთან კონფლიქტში არ შევიდნენ და ინციდენტის თაობაზე თბილისის საპატრულო პოლიციის მაშინდელ უფროსს, გიორგი გრიგალაშვილს აცნობეს. რა დაელება და სიტუაციის განმუხტვის ბრძანება მიიღეს პოლიციელებმა, უცნობია, მაგრამ მას შემდეგ, რაც პაპუაშვილმა დედა აგინა პოლიციელებს, მალევე დატოვა ინციდენტის ადგილი. როგორც „ახალგაზრდა ადვოკატების“ გინების მომთმენ პოლიციელებს, პრემიის სახით, 300-300 ლარი გამოუწერეს.

- ქონებაჩამორთმეული ადამიანის ადამიანის სახლში რომ ცხოვრობს პაპუაშვილი, ცნობილი ამბავია, ამ ჩანაწერის გამოქვეყ-

ნოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გიორგი პაპუაშვილის ეს კამპანია ემსახურება მის მიმართ არსებულ სამართლებრივ პრეტენზიებს, რომელიც უკავშირდება ქონებაჩამორთმეულის სახლში ცხოვრებას, რაც 2010 წელს მოხდა და ამჟამად აჭარის პროკურატურაში გიორგი პაპუაშვილის აღნიშნული ქმედების გამო მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედება. ახლა ის ცდილობს, გადაფაროს მის მიმართ არსებული სამართლებრივი პრეტენზიები, მაშინ როდესაც სადავო ქონება დაყადებულია, საქმე „ახალგაზრდა ადვოკატების“ შუამდგომლობით საერთო სასამართლოებში მნიშვნელოვან ეტაპებს გადაის და 12-წლიან ემიგრაციაში მყოფი ოჯახი სასამართლიანობის აღდგენას ელოდება საქართველოში. პაპუაშვილის ისტერიკას კი აჟვყა ზოგი-

თლმსაჯულების სირცხვილი, ის დღემდე ადამიანის უფლებებს არღვევს ამ ქვეყანაში და მაგალითისთვის ბლადის საქმეც კმარა. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე იცის, რომ ეს ადამიანი ქონებაჩამორთმეულია და აგრძელებს ამ სახლში ცხოვრებას, ერას ქუჩა №37-ში. ყველაფერს გააკეთებ, რომ ის მართლმსაჯულების წინაშე წარდგეს, რა განცხადებებსაც არ უნდა აკეთებდეს იგი. როდესაც ყველაფერი მიდის გარკვევისკენ, ცხადი ხდება, რომ არც მინისტრი წულუკიანი, არც მთავრობის რომელიმე წევრი და, ზოგადად, ხელისუფლება პაპუაშვილის მიმართ არავითარ შანტაჟს არ ეწევა. მას პოლიციასთან ინციდენტის გამო სინდისის ქენჯნა უნდა ჰქონდეს და ბოდიშს იხდიდეს. საერთოდ არ ვარ მომხრე, რომ ეს კონკრეტუ-

ცაგარეიშვილი ოჯახის შესახებ ჩანაწერზე: „რესპუბლიკელების“ უარი ვერ შეგვაფერხებს



„თავისუფალ დემოკრატებში“ მიიჩნევენ, რომ ქორწინებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხი „ქართულმა ოცნებამ“ წინასწარჩვენოდ წამოსწია, თუმცა გიორგი ცაგარეიშვილის განცხადებით, ამგვარი ჩანაწერი კონსტიტუციაში უნდა არსებობდეს.

- არ გამოვირცხებ, რომ ეს თემა წინასწარჩვენოდ არის წამოწეული, მაგრამ მე ვფიქრობ, ამგვარი ჩანაწერი საქართველოს კონსტიტუციაში უნდა არსებობდეს. თუ იქნება კონსენსუსი პოლიტიკურ ძალთა შორის, ერთი „რესპუბლიკელების“ უარი ნამდვილად ვერ შეგვაფერხებს იმ ადამიანზე, ვისაც გვინდა, რომ ეს მიზანი იყოს მიღწეული კონსტიტუციაში, - განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა. (press.ge)

ალექსი პეტრიაშვილი: არ ვიცნობდი დაკავებულს, მე ასოცირების ხელშეკრულებები გამქონდა, მას - ლომბარდები



„თავისუფალი დემოკრატების“ გენერალურმა მდივანმა ალექსი პეტრიაშვილმა საავადმყოფო დატოვა. მან ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ თავდამსხმელს არ იცნობდა.

- არ ვიცნობდი დაკავებულს, მე ასოცირების ხელშეკრულებები გამქონდა, მას - ლომბარდები. არასდროს არ მყავს ნანახი აღნიშნული პიროვნება. მე შემძლია გითხრათ, რომ 5 ნატყვიანის, ცემისა და ჩაქუჩის ჩარტყმის მერე ნორმალურად ვარ. მეორე პიროვნების ამოცნობა გამოჭირდება, რადგან ის ნიღბით მუშაობდა ჩემზე. ამ დაკავებულის საუბედუროდ კი, ის რამდენიმე ადამიანმა დაინახა. პირად ანგარიშსწორებას რაც შეეხება, ეს პიროვნება არასდროს მინახავს და მასთან რა დაპირისპირება უნდა მომსლოდა, ეს იყო მკვლელობის მცდელობა, - აღნიშნა პეტრიაშვილმა.

რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან ალექსი პეტრიაშვილს ახლოობები და პარტიის წევრები დახვდნენ. (რეპორტერი)

ბათუმის ვიცე-მერი სცემს

ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე 26 წლის ახალგაზრდა ბათუმის ვიცე-მერს, ბეგრატ მანველიძეს სცემა. შემთხვევა 3 მარტს მოხდა. თვითმხილველების ინფორმაციით, სიტყვიერი დაპირისპირება ბათუმის ვიცე-მერისგან დაიწყო, რომელიც შემდგომ ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ახალგაზრდა ბიჭს ბათუმის ვიცე-მერმა შეაგინა, შემდეგ ამ ბიჭმა სთხოვა, მეორედ აღარ ეთქვა მსგავსი სიტყვები, თუმცა მან კვლავ განაგრძო ახალგაზრდის მიმართ გინება. ახალგაზრდამ ვერ მოითმინა და მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაცენა, - აცხადებს თვითმხილველი, რომლის სახელსა და გვარს, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, არ ვასახელებთ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 125-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ცემას გულისხმობს. პოლიციამ ერთი პირი დააკავა, რომელიც გირაოს საფუძველზე გაათავისუფლეს. (ფელია.გე)





საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

სენსაცია მედიცინაში – სიმსივნე მალე ერთი ჩხვლეტით განიკურნება



ბრიტანელი მკვლევრების თქმით, მათ მიერ შემოთავაზებული მეთოდი, რომელიც დნმ-ს შესწავლაზე დაფუძნებული ქიმიო და სხივური თერაპიების ჩანაცვლებას შეძლებს. მათ მაგივრად პაციენტებს ვაქცინას შეთავაზებენ, რომელიც დაავადებული ადამიანის სიმსივნური უჯრედებიდან მოპოვებული ცილის საფუძველზე იქნება დამზადებული. ვაქცინა იმუნურ სისტემას ავთვისებიანი უჯრედების წინააღმდეგ საბრძოლველად მიმართავს. სიმსივნის სანინალმდეგო ვაქცინის გამოყვანას ადრეც ცდილობდნენ, თუმცა, მათი საშუალებით მკურნალობა არაეფექტური აღმოჩნდა. როგორც ახალი მეთოდის ავტორები აცხადებენ, სხვა ვაქცინების ნაკლი ის იყო, რომ ისინი ყველა პაციენტისთვის ერთიანად მზადდებოდა, მათს მეთოდში კი გათვალისწინებულია თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალური ვაქცინის დამზადება. ამასთანავე, ეს მეთოდი ითვალისწინებს ორგანიზმში იმ იმუნური უჯრედების მოძიებასაც, რომლებიც უჯრედების მუტაციას უწინააღმდეგებანი, შემდგომ ამ იმუნური უჯრედების ლაბორატორიულ პირობებში გამრავლებას და ისევ ადამიანის ორგანიზმში შეყვანას.

მეცნიერების განცხადებით, ჯერჯერობით ადრეა იმის თქმა, რამდენად ადვილი და განხორციელებადი იქნება აღნიშნული მეთოდი. მათი თქმით, სიმსივნე მოძრავი სამიზნეა, ამიტომ ერთ ეტაპზე გამოუმუშავებული ანტიგენი შესაძლოა, გარკვეული პერიოდის მერე არაეფექტური იყოს. როგორც მეცნიერები ამბობენ, ისინი ცდილობენ, იმუნურ სისტემას მოხსნან მუზონულები, მისცენ მას მართვის სადავეები და საჭირო მიმართულებით უბიძგონ.

newposts.ge

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

კომარული სიზმრებისგან გადაგარჩენთ... ჩაი



იაპონელ მეცნიერებს თუ დაუჯერებთ, ადამიანები, რომლებიც ჩაის ყოველდღიურად სვამენ, განსაკუთრებით კი ძილის წინ, კომარულ სიზმრებს 50 პროცენტით იშვიათად ნახულობენ, ვიდრე ისინი, ვინც ამ სასმელთან მწყურალად ყოფილა. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ჩაიში შემავალი ტანინის ამინომჟავა სტრესის მოხსნის შესაძლებლობას იძლევა და თავის ტვინის უარყოფით ელექტრონულ აქტიურობასაც ამცირებს. გარდა ამისა, იაპონელი სწავლულები განმარტავენ, რომ ძლიერისგან განსხვავებით, მშვენიერ სქესს ფსიქიკის გაცილებით სუსტი სტრუქტურა აქვს და შესაბამისად, კომარული სიზმრები მათ 80 პროცენტით ნშირად ტანჯავთ. ამდენად, განსაკუთრებით სასარგებლო ჩაის მიღება სწორედ ქალებისთვის გახლავთ. რადგან ჩაის სასარგებლო თვისებებზე ჩამოვადგეთ სიტყვა, აქვე ამერიკელი მეცნიერების ახალ აღმოჩენაზეც მოგახსენებთ, რომლის თანახმადაც ცნობილი ხდება, რომ ჩაი მატებს მიღებას გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებების განვითარების შეფერხება შეუძლია, რადგან ის ორგანიზმში ანტიოქსიდანტების გამოუმუშავების გაზრდას განაპირობებს.

gazeta.ua

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

მარიხუანის ნაყინი იტალიაში – მას ბობ მარლის პატივსაცემად „მარლი“ დაარქვეს



იტალიის რივიერას სანაპიროზე მდებარე ქალაქ ალასიოში ადგილობრივ სანაყინეში მარიხუანის ნაყინის გაყიდვა დაიწყო. ნაყინს სახელად „მარლი“ დაარქვეს, რეგის ლეგენდარული მომღერლის, ბობ მარლის პატივსაცემად. სანაყინის მეპატრონეს იმედი აქვს, რომ ამ ნაბიჯით იტალიელების დამოკიდებულებას მარიხუანის მიმართ დადებითისკენ შეცვლის. ტკბილეული ნარკოტიკულ თრობას არ იწვევს, მას, უბრალოდ, მცენარის გემო აქვს. იტალიაში რელიგიური შეხედულებების გამო მარიხუანის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. რეკრეაციული მიზნებისთვის მისი მოხმარება დასაჯადია, ხოლო სამედიცინო მარიხუანა 10-ჯერ უფრო ძვირი ღირს, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

goodnews.ge

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

გაზიანი სასმელები არითმიასაც იწვევს



კიდევ რამდენი კვლევა უნდა ჩატარდეს, რომ ენერგეტიკულ და გაზიან სასმელებზე უარი საბოლოოდ ვთქვათ? ავტო ამერიკელმა მეცნიერებმა აღნიშნულ სასმელებს ახალი წუნი უპოვეს და ამბობენ, რომ მათი მიღება წნევაზე მოქმედებს და არითმიას იწვევს. მეცნიერებმა ექსპერიმენტების მთელი სერია ჩატარეს და დამტკიცეს, რომ ნებისმიერი სახის გაზიანი სასმელი გულის რიტმზე ცუდ ზეგავლენას ახდენს. თურმე, ექსპერიმენტის ყველა მონაწილეს, მიუხედავად იმისა, რომ დღეში სულ ორ ქილა გაზიან სასმელს აძლევდნენ, მიღების შემდეგ არტერიული წნევის მაღალი მაჩვენებელი აღენიშნებოდა. მეცნიერები უფრო ჯანმრთელ ალტერნატივას გთავაზობენ, მაგალითად, წყალს.

myjane.ru

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

ჩინელი დედა ბავშვს დღე-ღამეში 16 საათით მეცადინეობას აიძულებს

ჩინეთის ქალაქ ჩუნცინში დედა შვილს აიძულებს, 24 საათის განმავლობაში, 16 საათი, დასვენების გარეშე იმეცადინოს. აღზრდის მსგავსი ფორმა სპარტელებსაც შეშურდებოდათ. ყველაზე საოცარი ის არის, რომ დედა ამაში განსაკუთრებულად მკაცრს ვერაფერს ხედავს, მეტიც, თურმე მამამისიც აღზრდის ასეთ მეთოდს იყენებდა და ფიქრობს, რომ გამართლებულია.



9 წლის ბავშვი სკოლიდან დაბრუნების შემდეგ საშინაო დავალებებს აკეთებს, კალიგრაფიაში ინაწვება, ცურვაზე დადის და მათემატიკაში მეცადინეობს. იმისთვის, რომ ყველაფერი ეს მოასწროს, ყოველ დღით 5 საათზე დგება და 6 საათიდან უკვე დამატებით სამეცადინეობას ასრულებს. ბავშვს მხოლოდ საღამოს 10 საათზე აძლევენ დასაძინებლად ნასვლის უფლებას. აღზრდის უჩვეულო მეთოდის მქონე დედა კი ამბობს: „თუ უნდა, რომ მომავალში მარტივი ცხოვრება უზრუნველყოს, ამისთვის ზრუნვა ახლავე უნდა დაიწყოს“. დედის თქმით, თითოეულ პუნქტს თავისი დატვირთვა აქვს. მაგალითად, პიანინოზე დაკვრა, ბიჭს არტისტულ ნიჭს გამოუმუშავებს, რაც მომავალში მეორე ნახევრის პოვნაში დაეხმარება. მათემატიკა ლოგიკური აზროვნების უნარს განუვითარებს. ქალი არ ფიქრობს, რომ ბავშვს მეტისმეტად მკაცრად ეყურობა, პირიქით, მისი აზრით, მსგავსი აღზრდა მომავალში სასიკეთოდ წაადგება. აუცილებლად წაადგება, თუ ბავშვი იმდენად არ გადაიღალა, რომ ზრდასრულობის ასაკს მიღწეოს, ან იმდენად არ დაკომპლექსდა, რომ საერთოდ რომელიმე უნარის გამოყენება შეძლოს.

lenta.ru

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

არ იღვლეოთ ჯანმრთელობაზე და თავს უკეთ იგრძნობთ

როგორც წესი, მთელ სხეულს ტვინი მართავს. თუ თავს დავაჯერებთ, რომ ჩვენი ავადმყოფობა საგანგაშო არ არის და მალე გამოვჯანმრთელდებით, ასეც მოხდება. ამას შევიცარიელი და ბრიტანელი მეცნიერებიც ადასტურებენ. მათი თქმით, ჯანმრთელობისთვის განწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც უფრო ნაკლებად ვიღვლეებთ იმაზე, რომ თავს რაღაც კარგად ვგრძნობთ, მით უფრო მალე გამოვჯანმრთელდებით.



სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ საკუთარ ჯანმრთელობაზე კონცენტრირება საუკეთესო გამოსავალი არ არის. შეგვიძლია, ექიმთანაც მივიდეთ და წამლებიც მივიღოთ, მაგრამ გამუდმებით ჩვენს რეცეპტსა და დაავადებაზე საუბარი კარგ შედეგს არ მოგვტანს. პირიქით, ექიმებისგან თავისუფალ დროს, უკეთესიც იქნება, თუ თეთრ ხალათზე საერთოდ არც ვიფიქრებთ. ხალხი, რომელიც არ წუნუნებს და საკუთარ ჯანმრთელობაზე გამუდმებით არ ლელავს უკეთ გრძნობს თავს და უფრო დიდხანსაც ცხოვრობს, თანაც, ასაკში შესულებს ტვინიც უკეთ უმუშავებთ.

myjane.ru



ნაპროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

„ალია“ იზიარებს თქვენს მწახარებებს
„ალია“ სამძიმარს უცხადებს დავით აქუბარდიას დედის გარდაცვალების გამო
კობიძეების საგვარეულო კავშირი ღრმა მწახარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა კობიძეების გვარის წინამძღოლი
ბესარიონ (ბესიკო) აკაკის ძე კობიძე
პანაშვილი: 8, 9 მარტს, 17 საათზე;
მისამართი: ფანასკერტელის ქ. №22;
გამოსვენება: ხუთშაბათს, 10 მარტს, 14 საათზე. საბურთალოს საძმო სასაფლაოს ეკლესიიდან.



აღმოჩენილია კავშირი კატების ინფექციებსა და ქალების სუიციდებს შორის
თუკი ოდესმე შეგიძარბიათ ქალი და კატა ერთმანეთისთვის, ალბათ, აშკარა კავშირის გამო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, რეალურად კავშირი მათ შორის ძალიან საშიშელია.

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ქალები, რომლებიც კატებს უწვლიან, ხშირად ინფიცირდებიან ტოქსოპლაზმოზით. აღნიშნული ვირუსი იწვევს ფსიქიკურ აშლილობებს და მსხვერპლს თვითმკვლელობის აზრსაც აწვევს.

45 ათას ქალზე ჩატარებული დაკვირვების შედეგად, სტატისტიკის თანახმად, ქალების კატეგორიას, რომელსაც ტოქსოპლაზმოზი ჰქონდა, სუიციდის მცდელობები მთელი 53 პროცენტით ხშირად ფიქსირდება. გარდა ამისა, მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ, რაც უფრო მძიმდება ვირუსით დაავადებული ადამიანის მდგომარეობა, თვითმკვლელობის მცდელობების შესაბამისად, 2-ჯერ მატულობს.

ნასვამობისთვის ჩამორთმეული მართვის მოწმობის დაბრუნება რესტორანში აღნიშნა და...

და მართვის მოწმობა საჭესთან ისევ არაფხიზელ მდგომარეობაში დაჯდომის გამო ჩამორთვა. როგორც ირკვევა, ამერიკული ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოში ადგილობრივი დიასახლისი, 58 წლის ერინ ჯეიმსი მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო დააკავეს. პოლიციის ინფორმაციით, სანამ ქალი საჭესთან დაჯდებოდა, რესტორანში მართვის მოწმობის დაბრუნებას აღნიშნავდა, რომელიც... მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო ჰქონდა ჩამორთმეული.



ერინ ჯონსი სულ რამდენიმე დღის წინ, ლამის 2 საათზე დააპატიმრეს. საგზაო პოლიციის თანამშრომელმა შენიშნა, რომ მძღოლმა სიჩქარეს გადააჭარბა და რასაკვირველია, გაჩერება მოსთხოვა. შემონიშნების შედეგად აღმოჩნდა, რომ მძღოლი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. მოგვიანებით ერინ ჯეიმსმა აღიარა, რომ რესტორანში მართვის მოწმობის დაბრუნება აღნიშნა, რომელიც 2012 წლის დასაწყისში იმავე დარღვევის გამო ჩამორთვა.

ეს ქალი იმ მძღოლების რიგს განეკუთვნება, რომლებსაც ავტომობილის საჭესთან დაჯდომის უფლება საერთოდ არ უნდა ჰქონდეთ, - განაცხადა ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელმა ტომ ვაიტცელმა, რომელიც მოითხოვს, ერინ ჯეიმსს მართვის მოწმობა საბუღალბო ჩამორთვას.

გაზეთი „ალია“
გამომცემელი გიორგი ბრიგვაძე
რედაქტორი: თამაზ პასტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (102)
ხანმოკლე ვაჭრობის რედაქტორი - მინილ სახვანიძე (599 93 28 03; 2-21-21-80 (108))
ოფისმენეჯერი - ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ტაყაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანათიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია. მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქვეყნდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, „საავტორო და მომხიზნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

ჭოჩოჭოჭი

9 მარტი: თქვენი ყველაზე დიდი პრობლემა იქნება ის, რომ გადაწყვეტილების მიღების სურვილი არ გექნებათ. ეს საკითხი რამდენიმე დღით გადადეთ.

9 მარტი: მზად იყავით - დღეს ემოციებს აჰყვებით. ძალიან რთული იქნება, მაგრამ ყველაფერი ილწონეთ, რომ სიმშვიდე შეინარჩუნოთ.

9 მარტი: რომც არავინ გისმენდეთ, სხვათა ნათქვამს აუცილებლად ყური მიუგდეთ. დიდი ალბათობით, თქვენთვის საინტერესო ამბავს გაიგებთ.

9 მარტი: შესაძლოა, მრავალმხრივი ცვლილებების შთამაგონებელი გახდეთ. მორიგი იდეის გაქურდვისას ყურადღება გმართებთ, შეიძლება ვიღაცამ მოგპაროს.

9 მარტი: შეიძლება, წარმოსახვა გაგიძლიერდეთ. ამიტომ ვინმეს რამეში დარწმუნებას ნუ შეეცდებით. დიდი ალბათობით, მართალი არ იქნებით.

9 მარტი: არ დანებდეთ, შედეგის მიღწევამდე ერთი ნაბიჯი და გექნებათ დარწმინდი. ძაღლები მოიკრიბეთ და ბოლო, გადაწყვეტი სვლაც გააკეთეთ.

9 მარტი: გარძობები და აზრები საფუძვლიანად მოინსერგეთ, დღეს არაორდინარულ საქმეზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ.

9 მარტი: თქვენი ყველაზე საიმედო მოკავშირე მოთმინების უნარი იქნება. გარკვეული პრობლემები, რომელთა მოგვარებაც გსურთ, თავისით გადაწყდება.

9 მარტი: არ დაგვიწყდეთ, რომ გუნდურ თამაშში ყველაზე მნიშვნელოვანი მოთამაშეებს შორის დალაგებული ურთიერთობებია. ეს საკითხი მოაწესრიგეთ.

9 მარტი: ადამიანებს, ვინც სიტუაციაში ვერ ერკვევიან, დიდ დახმარებას გაუწევთ. სხვათა ნაცვლად გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდებათ, მაგრამ ფრთხილად იყავით.

9 მარტი: ძალიან მკაცრად ნუ მოქცევით ოჯახის წევრებს, მათაც აქვე ზომიერების ფარგლებში თავისუფლად მოქმედების უფლება.

9 მარტი: შესაძლოა, თქვენი ოჯახის რომელიმე წევრს ბინაში რაღაცის შეცვლა მოუხდეს. უფლება არ მისცეთ, სიტუაციის გამოსწორება ადვილი არ იქნება.

გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს უურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 577 74 99 89
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტაგაშვილი (15 საათიდან)



ქალთა ჰიგიენის საშუალებები სასიკვდილოდ სასიფათოა
მშვენიერი სქესის წარმომადგენლების უმეტესი ნაწილი პირადი ჰიგიენისთვის სხვადასხვა საშუალებას იყენებს, რომელთა შემადგენლობაშიც დიდი რაოდენობით ტალკი შედის.

სპეციალისტების განმარტებით, ნებისმიერი ქიმიური ნაერთი ჯანმრთელობისთვის ძალიან სასიფათოა, რადგან ორგანიზმში მოხვედრის შემთხვევაში, სხვადასხვა სიმძიმის დაავადების გამოწვევა შეუძლია. მათ შორის განსაკუთრებით სასიფათო სწორედ ტალკი გახლავთ. პირველ რიგში, სპეციალისტები შიშობენ, რომ ტალკს საკვრცხვების კიბოს გამოწვევა შეუძლია. გარდა ამისა, ახლად ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული ნივთიერება უკიდურესად ნეგატიურ გავლენას ახდენს საშვილოსნოს გარსზეც. ასევე, აზიანებს ფილტვებს და შესაძლებელია ქრონიკული ალერგიის განვითარებაც.

ქალის ორგანიზმში მოხვედრილი ტალკის უმცირესი ნაწილები ანთებით პროცესებს იწვევს, რომლებიც შემდგომში ონკოლოგიურ დაავადებებად ყალიბდება, - ამბობენ სპეციალისტები.

beta.novoteka.ru

ცივი საჭმელი გასუქების საწინდარი
საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ცივი საჭმელი ცხელზე გაცილებით უსაფრთხოა ჭარბი წონის დაგროვების თვალსაზრისით, რაც თურმე, ძალიან მცდარი შეხედულება ყოფილა. საქმე ისაა, რომ ცივი კერძი ნივთიერებათა ცვლის პროცესს არღვევს და ცხიმების დაგროვებას იწვევს. სპეციალისტების განმარტებით, კუჭში საკვების დაყოფნა სწორედ მის ტემპერატურაზე დამოკიდებულია. იმ შემთხვევაში, თუკი საჭმელი თბილია, მისი მონელების პროცესი 2-3 საათს მიმდინარეობს, რაც საკვებით ნორმალურია და ჭარბი წონის საშიშროება იმდენად არ არსებობს, რადგან ცხიმებს ამინომჟავები ერევს. აი, როცა საქმე ცივ საკვებზე დგება, თურმე, ის კუჭს ძალიან მალე უსხლტება, რაც იმას ნიშნავს, რომ ნივთიერებათა ცვლა ირღვევა და შეგარგოთ, ზედმეტი ცხიმები. რატომ და იმიტომ, რომ წვრილ ნაწილაკებში მოხვედრილი გადაუმუშავებელი ცილები, სადაც მათი დამუშავება უნდა მოხდეს, ვეღარ მუშავდება. უფრო მეტიც, იმ ადგილზე, სადაც ნახშირწყლების დაყოფა უნდა ხდებოდეს, მრავლდება ბაქტერიები, რომლებიც ხორცსა და სხვა ცხოველურ ცილებზე ბინადრობენ. შედეგად ვითარდება დისბაქტერიოზი, რამაც, გასუქების გარდა, შეიძლება სხვადასხვა დაავადებაც გამოიწვიოს.

კოტიკო ოთახებში დარბის, ყველაფერი თავდაყირა დააყენა, სათამაშოები მიფანტ-მოფანტა, უჯრები ამოქექა, დიდი არეულობა მოაწყო.
- ვთამაშობ.
- და რა ჰქვია ამ თამაშს?
- რა ჰქვია და „სადაა ჩემი მანქანის გასაღები თქვენი დედა“ მამიკო თამაშობს ხოლმე ხშირად...
- კოტიკო, რას აკეთებ?
მომზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი

გაზეთი „ალია“
გამომცემელი გიორგი ბრიგვაძე
რედაქტორი: თამაზ პასტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (102)
ხანმოკლე ვაჭრობის რედაქტორი - მინილ სახვანიძე (599 93 28 03; 2-21-21-80 (108))
ოფისმენეჯერი - ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ტაყაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანათიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია. მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქვეყნდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, „საავტორო და მომხიზნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური
2-333-170
577-444-442
ფაქსი: 221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

სარეკლამო სამსახური
2-333-170
577-444-442
ფაქსი: 221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

ISSN 2296-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) 3-49
რედაქციის მისამართი: პასტავაშვილი, ქ. შატალი 80-4 კორპ. | საბურთალო (ალექსიძის თბი)
2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge